არქივის შენობაში არსებული მექანიკური კარადების შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №01

ქ. თბილისი 17 იანვარი 2024 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

ვახტანგ ბოხაშვილი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

კომისიის წევრები:

ლანა ჯიბლაძე	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ძებისაშვილი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
არჩილ ოგბაიძე	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის ლოგისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
რევაზ კავთელიშვილი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

აპარატის წევრი

მარიამ ჩოფლიანი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის მენეჯერი.

<u>დღის წესრიგი:</u>

ელექტრონული ტენდერის გამოცხადების მიზნით, არქივის შენობაში არსებული მექანიკური კარადების შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სატენდერო პირობების განხილვა, დამტკიცება.

<u>მოისმინეს:</u>

სატენდერო კომისიამ მოისმინა სატენდერო კომისიის აპარატის წევრის გამოსვლა: შესყიდვების სამსახურში წარმოდგენილია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა მართვის დეპარტამენტის უფროსის ნინო ჩაკვეტაძის 2023 წლის 20 დეკემბრის N326394/17 მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმად მიზანშეწონილად მიიჩნიეს ზემოთაღნიშნული მომსახურების შესყიდვა.

სატენდერო კომისიის წევრებს, მიეწოდათ ინფორმაცია ბაზრის კვლევის შედეგებზე:

ბაზრის კვლევის მიზანს წარმოადგენდა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა. ბაზრის კვლევა ჩატარდა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, 11 პოტენციურ მიმწოდებელთან, რომელთაგანაც ბაზრის კვლევაში მონაწილეობა მიიღო ორმა მიმწოდებელმა და დაფიქსირდა შემდეგი მონაცემები:

	პრეტენდენტი 1	პრეტენდენტი 2
პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით	**1 665 ლარი**	**1 950 ლარი**

<u>განიხილეს:</u>

სატენდერო კომისიამ განიხილა არქივის შენობაში არსებული მექანიკური კარადების შეკეთების მომსახურების შესყიდვაზე ბაზრის კვლევის შედეგები და უკვე განხორციელებული ანალოგიური შესყიდვების გამოცდილებისა და სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია, პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს ბაზრის კვლევის შედეგად დაფიქსირებული უმცირესი ღირებულება.

სატენდერო პირობების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იქნა, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უკვე განხორციელებული ანალოგიური შესყიდვების გამოცდილება, ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზარზე ოპერირებს მიმწოდებელთა საკმარისი რაოდენობა, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა, ტენდერში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში, დააკმაყოფილონ სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნები.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სააგენტოს საჭიროებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ტენდერი გამოცხადდეს შემდეგი პირობებით (ყურადღება გაამახვილეს შემდეგ გარემოებებზე):

- პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება (ბაზრის კვლევის შედეგად) – **<u>1 665 ლარი (დღგ-ს გათვალისწინებით);</u>**
- შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება- **150 000 ლარი (დღგ-ს გათვალისწინებით);**
- მომსახურების გაწევის ვადა - **<u>ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად;</u>**
- პრეტენდენტის გამოცდილება - პრეტენდენტს 2019 წლის 1-ელი იანვრიდან, მოცემული ტენდერის გამოცხადების დღემდე, მინიმუმ ერთი შესრულებული/დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში, განხორციელებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური/მსგავსი ტიპის მომსახურება.
- დაფინანსების წყარო - 100 % - 2024 წლის საკუთარი სახსრები.

სატენდერო კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილი სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის შესახებ და აღნიშნეს, რომ დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

<u>კომისიამ დაადგინა:</u>

1. დამტკიცებულ იქნეს არქივის შენობაში არსებული მექანიკური კარადების შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია.
2. შესყიდვის ობიექტის იდენტიფიკაცია განისაზღვროს კლასიფიკატორის შემდეგი კოდის შესაბამისად:
   CPV - 50712000 - შენობის მექანიკური მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.
3. დაევალოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურს, უზრუნველყოს ელექტრონული

ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

4. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს/ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე, აბრევიატურით **NAT**.
5. ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული ტენდერი ჩატარდეს პრეისკურანტის საფუძველზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე - ვ. ბოხაშვილი

სატენდერო კომისიის წევრი - ლ. ჯიბლაძე

სატენდერო კომისიის წევრი - რ. კავთელიშვილი

სატენდერო კომისიის წევრი - ა. ოგბაიძე

სატენდერო კომისიის წევრი - ნ. ძებისაშვილი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - მ. ჩოფლიანი